ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4083764

ნომერი: AR1616306

თარიღი : 16.07.2018

გაცემის თარიღი : 27.07.2018

გაცნობის თარიღი : 31.07.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , ქუჩა გორგასლის N28- სა და N30 - ის მიმდებარედ, ქუჩა გორგასლის N30 , (ნაკვეთი N2/62) ; ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , გულიას ქუჩისა და გორგასლის ქუჩის კუთხეში; ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , ქუჩა გორგასლის N28- სა და N30 - ის მიმდებარედ, (ნაკვეთი N2/52) ; ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , ქუჩა გორგასლის N28- სა და N30 - ის მიმდებარედ, ქუჩა გორგასლის N30 , (ნაკვეთი N2/63);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა კაპანაძე პ/ნ 54001003386
- თბილისი კ.ცინცაძის ქ. N 19/21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“

თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 16 ივლისის N AR1616306 განცხადება, რომლითაც ითხოვთ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის N3095192 ბრძანებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისში, მოედანი გულია , გულიას ქუჩისა და გორგასლის ქუჩის კუთხეში/ ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , ქუჩა გორგასლის N28- სა და N30 - ის მიმდებარედ, (ნაკვეთი N2/52) / ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , ქუჩა გორგასლის N28- სა და N30 - ის მიმდებარედ, ქუჩა გორგასლის N30 , (ნაკვეთი N2/63) მრავალფუნქციური კომპლექსის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ შემდეგი ფუნქციური დანიშნულებების დაფიქსირებას (სასტუმრო - 18%, კომერციული - 15%, საცხოვრებელი - 67%).

აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიანი ზონა -2-ში (სსზ-2), რომელიც წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ საქმიანი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 25%-ის. აღნიშნულ ზონაში თქვენს მიერ ცვლილებით მოთხოვნილი ფუნქციური დანიშნულებების შესაბამისად, საცხოვრებელი ფუნქციის ობიექტის განთავსება არ განეკუთვნება ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით განსაზღვრულ სსზ-2-ში დასაშვებ სახეობებს და განეკუთვნება აღნიშნულ ზონაში ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას (იხ. დანართი).

აღნიშნულიდან გამომდინარე არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა 2017 წლის 16 თებერვლის N3095192 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.